ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 175 (19916) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ქალაქ ზელენოგრადს

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ელექტრონული მრეწველობის სამეცნიერო ცენტრს მოსკოვის ოლქის ქალაქ ზელენოგრადში. იგი გაეცნო ელექტრონიკის თანამედროვე ნაწარმისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ნიმუშებს, რომლებსაც იყენებენ მანქანათმშენებლობაში, ლითონდამუშავებაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე კოსმოსური სფრაცის კვლევაში.

სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრმა ვ. გ. კოლესნიკოვმა აღნიშნა, რომ ზელენოგრადში — მსხვილ სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრში ამუშავებენ და უშვებენ ინტეგრალურ სქემებს: მიკროპროცესორებს, დამხსომებელ მოწყობილობასა და სხვა ხელსაწყოებს, სპეციალურ ტექნოლოგიურ მოწყობილობასა და მასალებს. სამეცნიერო ცენტრის კომპლექსური ხასიათი უზრუნველყოფს წარმოების განვითარების სწრაფ ტემპსა და კვლევის მოწინავე დონეს.

ნაჩვენები იყო მოქნილი ავტომატიზებული ხაზები, ავტომატ-საამქროები, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ბაზაზე დაპროექტების სისტემები, რთული ტექნოლოგიური მოწყობილობის ასაწყობი უბნები.

საწარმოთა ხელმძღვანელებთან, მეცნიერებთან და მუშებთან შეხვედრების დროს მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ელექტრონული მრეწველობა ჯერჯერობით სრულად ვერ აკმაყოფილებს მუდმივად მზარდ მოთხოვნილებას ელექტრონული ტექნიკის ნაწარმზე. დარგში ჯერ კიდევ არის ბევრი საწარმო, რომლებიც თავს ვერ ართმევენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რაც გავლენას ახდენს ბევრი მომხმარებლის მუშაობაზე. უდავოა, რომ საწარმოთა ყველა კოლექტივმა უნდა შეიტანოს წვლილი გარდაქმნაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, სახალხო მეურნეობის ფართო ელექტრონიზაციაში. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონიკის ინსტიტუტებისა და მანქანათსაშენებელი და ხელსაწყოთსაშენებელი დარგების კვლევითი ორგანიზაციების ერთობლივ შემოქმედებითს მუშაობას.

ზელენოგრადის მშრომელები გულითადად მიესალმნენ მ. ს. გორბაჩოვს. გაიმართა საუბრები მუშებთან, ინჟინერ-ტექნიკურ თანამშრომლებთან და მეცნიერებთან.

მ. ს. გორბაჩოვი: აქ თქვენს მხარეში ვყოფილვარ, თქვენთან კი პირველად ვარ.

ხმები: რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

მ. ს. გორბაჩოვი: იმით, თუ როგორ ვითარდება მიკროელექტრონიკა, კმაყოფილი არა ვართ, მაგრამ კმაყოფილი არა ვართ კარგი გაგებით. იგი სწრაფად ვითარდება. მაგრამ უფრო სწრაფად უნდა ვითარდებოდეს, რადგან ის, რასაც თქვენ აკეთებთ, უაღრესად მნიშვნელოვანია ტექნიკისთვისაც, მეცნიერებისთვისაც და ქვეყნის წინსვლისთვისაც. უთქვენოდ წინსვლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არ იქნება. თქვენ იმ რამდენიმე დარგს განეკუთვნით, რომლებმაც ახალი სული უნდა შთაბერონ ჩვენს მანქანათმშენებლობას, მან კი უნდა უზრუნველყოს მთელი სახალხო მეურნეობა. ამიტომ ის, რასაც აკეთებთ, ფრიად მნიშვნელოვანი და საჭიროა. მე მომეწონა, ჯერ ერთი, ის, რომ თქვენ უკვე ძალიან ასწიეთ დონე უკანასკნელი წლების მანძილზე, ასწიეთ, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით.

მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამახარა, რაც ჩვენს დარგში, განსაკუთრებით გამოთვლითს ტექნიკაში ხდება. ელექტრონიკაში კი, რაც რამდენადმე უფრო ჩრდილო დარგია, იმან გამახარა, რომ პერსპექტივა ძალიან კარგია, მარაგნაკეთი ძალიან კარგია, აქ წინსვლა შესაძლებელია და იქნება კიდეც. ამიტომ ამ თვალსაზრისით შთაბეჭდილება კარგი დამრჩა.

დღეს გარკვევით ვხედავთ სუსტ ადგილებს, სადაც კი გვაქვს. ისიც კარგად გვაქვს წარმოდგენილი, რა უნდა ვაკეთოთ უახლოეს ხანს იმისათვის, რომ მსოფლიო დონეზე ვიყოთ, არ ჩამოვრჩეთ, თქვენ კი ზოგან უკვე უფრო მაღალ დონესაც მიაღწიეთ, ვიდრე სხვა ქვეყნებია. ამიტომ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ კარგი შთაბეჭდილება შემექმნა.

მაგრამ ყოველივე ეს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროა. არის საქმის მეორე მხარეც — როგორ ცხოვრობთ? აქ ისე მოხდა, რომ წარმოება ძალას იკრებდა, მეცნიერება ვითარდებოდა, ქალაქი იზრდებოდა, სოციალური განვითარება, თავად ზელენოგრადი, ოდესღაც ძალიან რესპექტაბელური, როგორიც იგი დღესაც არის, ჩამორჩებოდა. ჩამორჩებოდა როგორც ქალაქის, ისე ადამიანთა ცხოვრების პირობების განვითარების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარეობს პრობლემებიც, განსაკუთრებით საბინაო, როგორც თქვენ თქვით, მომარაგების თვალსაზრისითაც არის ეს პრობლემები. შევთანხმდით, რომ პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტთან და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ვნახავთ მარტო იმას კი არა, რაც თქვენ და ჩვენ გვინდა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ იმასაც, რაც თქვენ გჭირდებათ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაოთ. ერთი სიტყვით, ამბობენ, ეს ადამიანები ცხოვრობენ. ეს ადამიანები ცხოვრობენ ბინებში, ბინებში ცხოვრობენ. ჩვენ ხომ ჩვენი ქვეყანა ფეხზე დავაყენეთ და უმაღლეს დონეზე ავიყვანეთ. ეს წინა თაობებმა ქნეს, მაგრამ ისინი ხომ სხვა პირობებში მოქმედებდნენ, ნაკლებად განთლებულნი, ნაკლებად შეიარაღებულნი იყვნენ, ვიდრე ახლა ვართ. ჩვენც ხომ, ახლანდელმა თაობამ, ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ. და ამაში ხალხი საფუძვლიანად ჩაება.

უნდა გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, და მაშინ გაჩნდება შემქმნელი სიმძლავრეების დაკმაყოფილებისა და ამოქმედების შესაძლებლობა. ეს ერთი. მეორე, იქ, სადაც საჭირო და მიზანშეწონილია, შემოვიღოთ ორ-სამცვლიანი მუშაობა იმ პირობით, თუ იქნება შესაბამისი ზრუნვა ადამიანებისათვის. უნდა გამოვავლინოთ ადამიანები იმისათვის, რომ მიეცეთ მომსახურების სფეროს. შეხედეთ, რა ხელმიშვებულია იგი.

ასე რომ, ჩვენ ვერ ვიტლეთ ისეთი გზით, რომ ადამიანს არ ჰქონდეს სამუშაო. ამას არ დავუშვებთ.

მაგრამ არც ისეთი სიტუაცია ვარგა, როცა წამგლეჯები მეტისმეტად დიდ შესაძლებლობებს იღებენ, როცა ყველგან გვაკლია ადამიანები და წამგლეჯები პირობებს გვიკარნახებენ. აღმოვფხვრით ასეთ სიტუაციას, და წამგლეჯობასაც ბოლო მოეღება. ეს უდავოა. ამით, ვფიქრობ, ყველანი დაინტერესებული ვართ.

არადა, რა ხდება ჩვენს მშენებელთა შორის: თუ განწესს თორმეტ მანეთზე არ გამიფორმებ, აცხადებს ზოგიერთი მშენებელი, არ ვიმუშავებ, სხვასთან გადავალო. და იწყება შედეგების შეჯამების გაყალბება, იწყება წამატებები, იწყება ბოროტმოქმედება.

არაფრისათვის ვაძლევთ ფულს. ხოლო თუ ფული განმტკიცებული არ არის წარმოების სფეროში საქონლის წარმოების ცვლილებებით, ეს ხომ ფარატინა ქაღალდი იქნება, ვის რად უნდა?

ჩვენ ძალიან ბევრ გამოუმუშავებელ ფულს ვიძლეოდით. ხედავთ, რა უზარმაზარი სამმართველო აპარატი გვაქვს. 18 მილიონი კაცი მმართველობაში! ასეთი აპარატი არ გვჭირდება.

ხმა: შემეცირდება?

მ. ს. გორბაჩოვი: აი ჩვენ, მაგალითად, ახლა 4 სამინისტრო გავაერთიანეთ, მათგან ორი შეექმნით და 760 კაცი შევამცირეთ.

მთავარია ამ საქმეში არ ვიფიციუდეთ, არ გაეცხარდეთ, არაფერი ავრი-დავრიოთ. თორემ შემდეგ ყველა შეწუხდება და იტყვის: „ვის რაში სჭირდება ეს გარდაქმნა, თუ ასე და ასე ხდებაო“. არა. თუ საქმე ხელს ვკიდებთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მტკიცედ, უკან არ დავიხიოთ. ყველაფერი შეიცვლება, შეიცვლება, და უნდა დავიწყოთ შრომითი კოლექტივიდან, მაგრამ ერთმანეთის შესახვედრად ზემოდანაც უნდა ვიაროთ. აი, სწორედ ასე უნდა ვიაროთ — ზემოდან და ქვემოდან.

ყველაფერს გამოვცდით და დავამუშავებთ, ამხანაგებო. არ უნდა გვეშინოდეს, უფრო გაბედულად უნდა ვეძებოთ, მოვსინჯოთ. ხალხში, ჩვენს ხალხში, იმდენი სიბრძნე, პოტენციალი, პასუხისმგებლობა დაგროვდა, რომ გაბედულად, გულდაჯერებით ვმოქმედებთ. თუ შევცდებით, მერე რა? ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, როცა არაფერს არ აკეთებ.

ხმები: მიხეილ სერგეი ძევ, უდიდესი მადლობა საზოგადოების გაჯანსაღებისათვის, იმისათვის, რომ წაგვახალისეთ.

მ. ს. გორბაჩოვი: გმადლობთ ამ მხარდაჭერისათვის. მაგრამ იქით, თუმცა ბევრს აკეთებ ჩვენისათვის, მაგრამ მეტია საჭირო.

ხმები: გვესმის. მზადა ვართ ამისათვის.

მ. ს. გორბაჩოვი: წინ მივიწევთ, გვინდა უფრო სწრაფი წინსვლა. უთქვენოდ, ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის გარეშე ვერავითარი პროგრესი ვერ იქნება. ამიტომ უნდა გახსოვდეთ ეს, ჩვენც უნდა ვითვალისწინებდეთ და გეხმარებოდეთ, კადრები გვაყვს, სამეცნიერო პოტენციალი კარგი, იმედი გვაქვს, რომ საქმე თქვენთან კარგად იქნება.

ხმები: მადლობა პარტიასა და მთავრობას.

მ. ს. გორბაჩოვი: თუ ყველას მეტი დისციპლინა, წესრიგი გვექნება, უკეთ მოვეკიდებით ერთმანეთსაც და საქმესაც, თუ გვექნება ასეთი გულსახდილი, წესიერი, პატივისცემელური ატმოსფერო, ჩვენი ცხოვრებაც უფრო სწრაფად შეიცვლება.

აი, ამბობენ კონტროლი გვჭირდებაო, ესა და ეს გვჭირდებაო, მერედა, ვინ უნდა ქნას ეს?

ხმები: ჩვენ, ხალხმა.

მ. ს. გორბაჩოვი: მარტო კონტროლიორების იმედად თუ დავრჩით, მაშინ ეს აპარატი კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ. დემოკრატიის შეშვეობით უნდა ვიმოქმედოთ, რომ ხალხი ყველაფერში მონაწილეობდეს. აი, ეს არის ყველაზე მთავარი გარანტია. ხალხი ყველაფერს ხედავს. მან ყველაფერი იცის, და ვერავითარი კონტროლიორი ვერ ვავშეელის, თუ ხალხს ყველაფერი არ ეცოდინება. აი რატომ გვჭირდება საჯაროობა.

ხმები: სწორია.

მ. ს. გორბაჩოვი: ადამიანებმა უნდა იცოდნენ. აი, მაშინ იქნება წესრიგი.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ზელენოგრადის სავაჭრო ცენტრს, გამოიკითხა, თუ როგორია საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი, ესაუბრა მყიდველებს, თუ როგორ კმაყოფილდება მათი მოთხოვნილებანი.

მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო სკოლის ქარხნის მუშაობას. აქ კონვეიერზე აწყობენ ელექტრონულ სათამაშოებს „ოკეანის საიდუმლოებანი“, კომბინატის ხელმძღვანელებმა უთხრეს, რომ მოსწავლენი ჩინებული ხარისხის ნაწარმს, პროდუქციას უშვებენ, 99 პროცენტს პირველი წარდგენით აბარებენ.

მ. ს. გორბაჩოვი: მშობლებს გაიცანით თქვენი წარმატებანი? დაე, მათაც მოგბაძონ.

ახლა კი მინდა განსაკუთრებული კითხვა დაგისვათ: თვალს ადევნებთ თუ არა გარდაქმნას? გაეცანით, რა არის ეს? კამათობთ თუ არა კლასებში? რას გაჩუმებულხართ, მიუბრუნდა მ. ს. გორბაჩოვი ნორჩ მემონტაჟეს, რა გქვიან შენ: მიშა? სიხნია ყოფილხარ, რას მორცხვობ....

მიშა პეტროვი: დიახ, ვიხილავთ დღევანდელობის ყველაზე საინტერესო საკითხებს პოლიტინფორმაციის წრეებში. რიგრიგობით ვამზადებთ ინფორმაციებს მნიშვნელოვან მოვლენებზე.

მ. ს. გორბაჩოვმა ინტერესით გამოკითხა ბავშვებს, რამდენად პოპულარულია მათი პროდუქცია ჩეხოსლოვაკიაში. მოსწავლეებმა ერთხმად უპასუხეს: „დიახ. კარგი წერილები მოგვდის“.

მ. ს. გორბაჩოვი: აი, ხედავთ, ბავშვებო, თქვენ უკვე გაინტერესებთ, არის თუ არა თქვენი ნახელავი მაღაზიებში. ეს კარგია. და მგონია, ამაოდ არ ვავრცელებთ ჩვენს საერთო საქმეებში მოსწავლეთა მონაწილეობის ასეთ ფორმას. სამი საათი იმუშავეთ, დღეკი დიდია, სეირნობასაც მოასწრებთ.

... იცით, ყველაფერს, რასაც ახლა ვაკეთებთ, რასაც გარდაქმნას ვუწოდებთ, თქვენთვის ვაკეთებთ. ემზადეთ. კუნთები გაიმაგრეთ, მაგრამ ნურც ცოდნის შეძენას დაივიწყებთ, თორემ ახლა ისე არაფერი გამოგვივა. მარტო კუნთებით თანამედროვე ტექნიკას, თანამედროვე ცხოვრებას ვერ დაძლევ. კარგია, რომ კიდეც სწავლობთ და ცოდნასაც იძენთ.

ახალი ტექნიკის შემმუშავებლებთან და საწარმოთა ხელმძღვანელებთან საუბრებში მ. ს. გორბაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა მიღწეულ შედეგებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელექტრონიკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინა ხაზზეა, მის დაჩქარებულ განვითარებაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის დიდი პრობლემების გადაწყვეტა. მიკროელექტრონიკის მიღწევები უშუალოდ განსაზღვრავს მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოდერნიზაციას, აფართოებს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის გამოყენების დარგებს, უზრუნველყოფს განათლებისა და სოციალური სფეროს კომპიუტერიზაციას.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული მრეწველობის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი საბაზო დარგის, ყველა მიმართულების პრიორიტეტულ განვითარებას, დასახულია სამინისტროს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის საქონლის სამომხმარებლო თვისებების შემდგომი გაუმჯობესების და მისი წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი გაფართოების ამოცანა.

ყველამ, ვისაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ესაუბრა, თქვა, რომ საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციისათვის გამიზნულ პარტიის კურსს, რომელიც შეიმუშავეს პარტიის XXVII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივნისის პლენუმებმა. საწარმოთა კოლექტივები დაძაბული რიტმით მუშაობენ დავალებათა შესრულებისათვის, კარგი გუნება-განწყობილებით ჩაებნენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. ტალიზინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლ. ტოლსტიხი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲔᲜᲙᲝ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲐᲕᲔᲘᲙᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲤᲐᲠᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ



ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ Ა. ᲚᲐᲕᲔᲘᲙᲘᲜᲘ, Ა. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲔᲜᲙᲝ ᲓᲐ Მ. ᲤᲐᲠᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ. ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

1987 ᲬᲚᲘᲡ 30 ივლისს მოსკოვის დროით 5 საათსა და 04 წუთზე „მირ“ პილოტირებულ კომპლექსზე ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ეკიპაჟი ალექსანდრე ვიქტორენკოს, ალექსანდრე ლავეიკინისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქის მუჰამედ ფარისის შემადგენლობით დედამიწაზე დაბრუნდა. „მირ“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ფრენას განაგრძობენ იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი.

„სოიუზ ტმ-2“ ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ რაიონში ქალაქ არკალიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 140 კილომეტრზე.

კოსმონავტები ვიქტორენკო, ლავეიკინი და ფარისი მიწაზე დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„მირ“ პილოტირებულ კომპლექსზე საერთაშორისო ეკიპაჟმა მთლიანად შეასრულა საბჭოთა კავშირისა და სირიის მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ მომზადებული ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა, რომლებსაც დიდი სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სირიის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის მიზნით ეწყობოდა მისი ტერიტორიისა და ზღვისპირა აკვატორიის ვიზუალურ-ინსტრუმენტული დაკვირვება და გადაღება. მიღებულია დიდი მოცულობის ინფორმაცია დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებსა და იონოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესახებ.

შესრულებულია მთელი რიგი ექსპერიმენტები მიკროგრავიტაციის პირობებში სხვადასხვა მახასიათებელგაუმჯობესებული მასალის მიღების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის მიზნით. განხორციელდა მუშაობა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და სამკურნალწამლო პრეპარატების ელექტროფორეზული დაყოფისა და გაწმენდისათვის.

საერთაშორისო ეკიპაჟმა შეასრულა სამედიცინო კვლევის კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს უწონობისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის თავისებურებათა შემდგომ შესწავლას.

მთელი ფრენის განმავლობაში იური რომანენკო, ალექსანდრე ლავეიკინი, ალექსანდრე ვიქტორენკო, ალექსანდრე ალექსანდროვი და მუჰამედ ფარისი მუშაობდნენ მაღალ პროფესიულ დონეზე, სრული ურთიერთგაგებით.

საბჭოთა და სირიელი კოსმონავტების წარმატებით განხორციელებული ორბიტული ფრენა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მრავალმხრივი თანამშრომლობის გზაზე, რომელიც ნიადაგ ვითარდება.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ს. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲔᲜᲙᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„მირ“ — „სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით წარმატებით განხორციელებული კოსმოსური ფრენისა და ამასთან გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი კოსმონავტ მფრინავს ამხ. ალექსანდრე სტეფანეს ძე **ვიქტორენკოს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 30 ივლისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ი. ᲚᲐᲕᲔᲘᲙᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„მირ“—„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით წარმატებით განხორციელებული კოსმოსური ფრენისა და ამასთან გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი კოსმონავტ მფრინავს ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **ლავეიკინს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 30 ივლისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Ს. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲔᲜᲙᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„მირ“—„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„კოსმონავტი მფრინავის“** წოდება ამხ. ალექსანდრე სტეფანეს ძე **ვიქტორენკოს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 30 ივლისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Ი. ᲚᲐᲕᲔᲘᲙᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„მირ“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„კოსმონავტი მფრინავის“** წოდება ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **ლავეიკინს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 30 ივლისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲡ ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲤᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„მირ“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის ეკიპაჟის კოსმოსური ფრენის უზრუნველსაყოფად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქე მუნირ ჰაბიბ **ჰაბიბი ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 30 ივლისი.

„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ“

ᲐᲛ სათაურით გაზეთ „პრავდის“ გუშინდელი — 30 ივლისის ნომრის მოწინავე სტატია ეძღვნება ჩუვაშ ქვეყანაში სასოფლო კლუბების და კულტურის სახლების მუშაობას, სოფლად კულტსაგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერების **საკითხებს.**

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

მოწინავე სტატიაში ბევრი კრიტიკული შენიშვნაა გამოთქმული ამა თუ იმ რესპუბლიკის და ოლქის მიმართ, სადაც

უფრო გაბედულად მოვაწყოთ ექსპერიმენტები, ვიმუშაოთ ნოვატორულად

УЧИТЕЛЬСКАЯ ГАЗЕТА

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს

— პატივცემულო ჯუმბერ, საქართველომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სკოლის რეფორმა — პრაქტიკულად ერთი წლით ადრე, ვიდრე ყველა დანარჩენმა.

— დიახ, ასეა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ რესპუბლიკის განათლების სისტემაში სკოლის რეფორმის პირველი ნაბიჯები მეტად მოკრძალებული, მე ვიტყოდი, გაუბედავიც კი იყო. ამიტომ ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი სახალხო განათლების მუშაკთა შეგნების გარდაქმნაზე, აზროვნების სტერეოტიპების დაძლევაზე. მაგრამ, მაინც რესპუბლიკაში ბევრი კარგი პედაგოგია, მათს შესახებ ვილაპარაკეთ მასწავლებელთა ყრილობაზე. მათი შრომის მეოხებით ბევრმა სასკოლო კოლექტივმა წარმატებანი მოიპოვა.

რეფორმის წინ წაწევისათვის მუშაობის კოორდინაციაში დიდია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი. აი, პარტიის მახარაძის რაიკომში გამოიჩინეს ასეთი, ჩემი აზრით, საინტერესო ინიციატივა: მოაწყონ საბაზო სწავლების შეჯიბრება სასკოლო დაწესებულებათა მოსამზადებლად სასწავლო წლის დაწყებისათვის. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროების თითოეულ წევრზეც. ამიტომ ჩვენ დღენიადაგ ვაძლიერებთ მათს პერსონალურ პასუხისმგებლობას განათლების ობიექტებზე საქმის ვითარებისათვის.

— ეუონალისტებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თქვა, რომ ურიგო არ იქნებოდა „სათები შეგვემოწმებინა“ გარდაქმნის ამ ეტაპზე. ასეთი შემოწმება, ეტყობა, განათლებაშიც უნდა მოხდეს ვგონებ მასწავლებელთა ტრადიციული აგვისტოს კონფერენციები ამისათვის ყველაზე შესაფერისი სიბანია.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტი ივნისის პლენუმზე სქმე ეხებოდა სახალხო მეურნეობის მართვის ძირეულ გარდაქმნას. უდავოა ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას სახალხო განათლებაშიც. საჭიროა კარგად მოგვარებული ხელმძღვანელობის სისტემა — ვიმეორებ, სწორედ სისტემა, მისი ყველა რგოლის შეთანხმებულობა, სკოლა იქნება. ეს თუ სამინისტრო, ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და უწყების შეთანხმებული თანამოქმედება. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ თითოეული კომუნისტი ზუსტად არ შეიგნებს თავის როლს რეფორმის საქმეებში, მას ადგილიდან ვერ დაეძრავთ. ეს ჩვენი მოთხოვნა მასწავლებელსაც ეხება, მინისტრსაც, საბჭოთა მეურნეობის დირექტორსაც და საწარმოს ხელმძღვანელსაც. აქ კი ზოგჯერ შეფერხებები ხდება.

მაგალითად, ჩვენში იყო წამოწყება: მაღალი მთის რაიონებში სოფლის რვაწლიანი სკოლების ბაზაზე დავიწყეთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფილიალების შექმნა. ისინი არა მარტო ეხმარებოდნენ ბავშვებს მიეღოთ მუშის სპეციალობა, არამედ ამკვიდრებდნენ ახალგაზრდობას სოფლებში. როგორც ჩანს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მუშაობაში შეუთანხმებლობა იყო ამ სასარგებლო საქმის მინელების მიზეზი. რესპუბლიკა ხომ საკმაო სახსრებს ხარჯავს მაღალი მთის სოფლების შენარჩუნებისათვის.

მაგრამ არის სხვა მაგალითებიც, როცა სხვადასხვა ადგილობრივი უწყების დაინტერესება განსაზღვრავს სასკოლო რეფორმასთან მათი ზიარების ახალ ფორმებს. რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკაში ჩვეულებრივი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე გაჩნდა, როგორც ჩვენ მათ ახლა ვუწოდებთ, სასკოლო მეურნეობები. ისინი უკვე ასზე მეტია. ასეთი მეურნეობები არის პრაქტიკულად საქართველოს ყველა რაიონში. აქ ბავშვები გადიან მიწის სიყვარულის, მიწაზე შრომის ჩვევების შეძენის ნამდვილ სკოლას. აქ სათამაშო კი არა, ნამდვილი თვითმმართველობაა. ასეთ მეურნეობებში ბავშვები ეუფლებიან ეკონომიკის საფუძვლებს, დაგეგმვისა და მართვის პრინციპებს, სწავლობენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. პრაქტიკულად ეს არის მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების სკოლა. ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ისევე სახელმწიფოებრივად რომ უდგებოდნენ საქმეს, როგორც სასკოლო მეურნეობებში მიუდგნენ დღევანდელი სკოლის პრობლემების გადაწყვეტას, რეფორმა არ იბუქსავებდა.

— მთელ რიგ ჩვენს მახალებში ვამბობდით, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ ახლანდელი ხუთწლედი სკოლისათვის საყოველთაო ზრუნვის ხუთწლედად გამოაცხადა. რა არის ამ იდეის არსი? ქვეყანაში ხომ არის ასეთი შესანიშნავი ლოზუნგი: „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“ თუმცა საქმით ეს ყოველთვის ასე არ არის.

— ლოზუნგი დღესაც აქტუალური, მართალია. კაცმა რომ თქვას, სწორედ მისთვის მუშაობს გარდაქმნაც. მაგრამ, ამავე დროს, იგი გვაიძულებს უფრო ღრმად ჩავიხედოთ საქმეში, გამორიცხავს ამით შენიღბვის, მის ფუჭ, ლამაზ ფრაზად გადაქცევის შესაძლებლობას. დასამალი არ არის — ესეც ფეხმოკიდებული სტერეოტიპების ნაყოფია, რომლებითაც ნიღბავდნენ უმოქმედობას.

ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ, ბიუროს ყველა წევრმა, მოვიარეთ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები: სუსტია მატერიალური ბაზა, დაბალ დონეზეა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ. აღმოჩნდა, რომ თურმე მთელ რიგ ბავშვთა სახლებში და სკოლა-ინტერნატებში მუშაობდნენ უპატიოსნო ადამიანები, მაქინატორები...

საშინელია ბედი უოჯახო ბავშვისა, რომელიც მოკლებულია მშობლის ალერსს, სიყვარულს... როგორ არ უნდა აუნაზღაურო მას ოჯახური სითბო? თუნდაც იმით, რომ შეუქმნათ ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური პირობები! ახლა იქ, სადაც შესაძლებლობა იყო, დაიწყო ახალი სასწავლო და საძინებელი კორპუსების შენებლობა, დაგეგმილია მთელი რიგი კომპლექსების აგება. მიმდინარეობს დისპანსერიზაცია, გადაწყდა ბავშვთა საზაფხულო დასვენების პრობლემა. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ მათთვის გახსნა ორი პიონერთა ბანაკი. და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, გაზარდა მომთხოვნელობა პედაგოგთა და აღმზრდელთა კადრების შერჩევისადმი. ვწყვეტთ შეფების პრობლემასაც. მოჩვენებითი კი არა, ნამდვილი შეფებისას. მათს საქმიანობას ნიადაგ კონტროლს ვუწევთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებში ბავშვების ცხოვრებას საყოველთაო-სახალხო კონტროლი უნდა დაუწესდეს. ამისათვის უფრო მეტი საჯაროობაა საჭირო.

— მართლაც, ბავშვთა სახლებში უმაწვილების ცხოვრება მთელ ჩვენს ხაზოგადოებას აღელვებს, ამას მოწმობს ფოსტა, რომელიც მოდის რედაქციაშიც და თბილისის კორპუსქტშიც. აქ ბევრი გულთბილი სიტყვაა გამოთქმული წყნეთის ბავშვთა სახლისათვის რამდენიმე საუწყებო აგარაკის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან შემოდგომაზე მიიღო. ახეთი გადაწყვეტილება საკმაოდ გაბედული და არაორდინარული ნაბიჯი იყო.

— არ მომაჩნია ეს განსაკუთრებულ გაბედულებად — ნორმალური პარტიული გადაწყვეტილებაა. მარტო ჩვენ კი არა, სხვა რესპუბლიკებშიც ასევე მოიქცნენ. ჩვენი საზოგადოების პრიორეტეტური ნაწილი მხოლოდ ბავშვები უნდა იყვნენ. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი მიდგომა შეიძლება ყველას არ მოსწონდეს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას სკოლისათვის საყოველთაო ზრუნვის ხუთწლედის შესახებ, შემიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. ისინი კეთილი საქმეების მტკიცე საძირკველზეა დამყარებული. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში ადგილობრივმა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ააშენეს სკოლები, მთლიანად აღჭურვეს სასწავლო კაბინეტები ყოველივე იმით, რაც საჭიროა, შეისყიდეს ტრაქტორები, სოფლ-ტექნიკა შრომითი აღზრდისათვის, ააგეს სპორტმოედები. დღეს ამ ინიციატივას სხვებმაც დაუჭირეს მხარი. თხუთმეტამდე საშეფო ორგანიზაციამ შეისყიდა სკოლებისათვის კომპიუტერული მოწყობილობა. თითოეული კომპლექტი კი 28 ათასი მანეთი ღირს. დამეთანხმებით, ეს რეფორმის არსებითი ხელშეწყობაა.

დიმიტროვის სახელობის საწარმოო გაერთიანებამ საცხოვრებელ სახლში ორი დიდი ბინა გამოყო თბილისის 82-ე სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის, სამ საშეფო სკოლაში გაერთიანება ეწევა დიდ აღმზრდელობითს მუშაობას — ეწყობა შეხვედრები მუშათა დინასტიებთან, წარმოების მოწინავეები ბავშვებს მუშური პროფესიების დაუფლებას ორიენტაციას აძლევენ.

რა თქმა უნდა, ამას ვერ დავჯერდებით. ჩვენ უფალმ მოვითხოვთ ბავშვებისათვის უფრო გაბნიებულ და ეფექტიანი დახმარების გაწევას.

— ჩვენ ვიცით, რომ ტრადიციად იქცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე მეურნეობათა ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვთ მათ სკოლის რეფორმის განხორციელებაში.

— დიახ, ამ მუშაობას ვეწეოდით და კვლავაც განვახორციელებთ. მაგრამ დადგა დრო, მეურნეობის მუშაკებმა ანგარიში ჩააბარონ თვით, განათლების მუშაკებს. სასურველია, რომ აგვისტოს კონფერენციების ტრიბუნებიდან მათ თვითკრიტიკულად და უაღრესად სერიოზულად გააკეთონ ეს. საჭიროა კოლექტიური აზრის შემუშავება. „აბინეტური“ გადაწყვეტების დრო წავიდა.

— სხვათა შორის, კოლექტიური აზრის შესახებ, თუმცა სულ სხვა რამის გამო. დღეს მთელი ქვეყანა ამაყობს პედაგოგ-ნოვატორებით. სულ ცოტა ხნის წინათ მასწავლებლისა და მეცნიერის შალვა ალექსანდრეს ძე ამონაშვილის ნოვატორულ მეთოდს ყველა როდი აზიარებდა. დღეს, როცა ექსპერიმენტი მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, როცა საჯაროობის მეოხებით ქვეყნის ათასობით პედაგოგმა შეიტყო მის შესახებ, იბადება „კითხვა: რა ფარგლებში გაგრძელდება ექსპერიმენტი?

— საჯაროობის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ პროფესორ ამონაშვილის ექსპერიმენტის შესახებ საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. მე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებმა ვეწვიეთ № 1 ექსპერიმენტულ სკოლას, გავიცანით პედაგოგთა კოლექტივი, ვიგრძენით სიკეთისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფერო. მე პედაგოგი არ გახლავართ და არ ვაპირებ მეცნიერთა კამათში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ფაქტებს ვერსად წაუხვალ. ოთხქმის ოცდახუთი წლის ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ სწავლების განვითარებადი ფორმა სჭირდება ახლანდელ სკოლას. ექსპერიმენტი, უთუოდ, უნდა გავრცელდეს და გაგრძელდეს. ამ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით განათლების სამინისტროსთან შეიქმნება პედაგოგთა ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ეს არა მარტო დაწყებით სკოლაში, არამედ საბავშვო ბაღებში, უფროს კლასებში, პროფტექნიკურ სასწავლებელში, სოფლის სკოლაში, სპორტსკოლაში, ხელოვნების სკოლაში ნოვატორული მეთოდიკის კომპლექსური დანერგვის ერთგვარი ცენტრი იქნება. ნელ-ნელა გამოიკვეთა განვითარებადი სწავლებისა და აღზრდის მთლიანი ჯაჭვი, გაერთიანებას სათავეში ჩაუდგება პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ახალი სასწავლო წლიდან თბილისის ათ სკოლაში მეცადინეობა წარიმართება ამონაშვილის მეთოდიკით. თუმცა ამ მეთოდიკით მუშაობის მსურველი მნიშვნელოვნად მეტია. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ნოვატორთა შეხვედრის შემდეგ, რომელიც სექტემბრის დამლევისათვის არის გათვალისწინებული, მათი საქმიანობისადმი ინტერესი კიდევ უფრო მეტი იქნება. გვინდა ვთხოვოთ ნოვატორ პედაგოგებს რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლაში ჩაატარონ გაკვეთილები, კოლეგებს გაუზიარონ თავიანთი აღმოჩენები. ეს სასარგებლო საქმეა, და უწინარესად — თვით რეფორმის წინ წაწევისათვის.

— მაგრამ ნოვატორებთან შეხვედრებითა და საუბრებით ძნელია შეიცვალოს განათლების საქმეთა საერთო სურათი. გვინდა შევეხოთ მეტად საარსებო პრობლემას — კადრების პრობლემას.

საქართველოს მასწავლებელთა VI ყრილობაზე რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მოხსენებაში არის ასეთი ფრაზა: „შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ერთი მხრივ, პერიფერიაში, განსაკუთრებით მაღალი მთის რაიონების სკოლებში, არ გვყოფნის უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები, მეორე მხრივ — ქალაქებში, სადაც უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელ ებ ი ა, არის ბევრი არამომუშავე სპეციალისტი... არასრული მონაცემებით, მათმა რიცხვმა ცხრა ათასს გადააჭარბა“.

— რა თქმა, უნდა კადრების საკითხი ფრიად აქტუალური. სწორედ ეს არის სახალხო განათლების საქმეში გარდაქმნის „საათების შემოწმება“. დღეს გვქონდა ბიუროს დიფერენციებული მიდგომა მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხში. ამ პრობლემაზე უნდა მუშობდნენ არა მარტო განათლების მუშაკები, არამედ, რა თქმა უნდა, სოციოლოგები, ეკონომისტები, მგეგმავები, სხვა სპეციალისტები. გარა ზუსტად ვიცით, მაგალითად, რამდენი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ლინგვისტი დაგვჭირდება ანა მარტო 1990 წლისათვის — რეფორმის დამლევისათვის, არამედ მომავალშიც?

ახლახან შეეხვედით თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს. და, როგორც გამოირკვა, პრობლემები ჩვენ საკმარისად გვქონია. ბევრი რამ კეთდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. ვერ შევურიგდებით იმას, რომ, ვთქვათ, ცალკეული სოფლის სკოლებში იმის გამო, რომ მასწავლებლები არ არიან, არ ისწავლება ესა თუ ის საგანი, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე ახალგაზრდები კი ყოველგვარი ხერხით ირჩიენ თბილისში ან თავისი სახლების ახლოს, მუშაობენ ყოველგვარ თანამდებობაზე. ეს არის არა მარტო დაგეგმვის, არამედ მომავალ პედაგოგთა მოქალაქეობრივი აღზრდის ნარევზებიც.

ახლახან გაზეთ „პრავდის“ მიერ სტატიაში „დამრიგებელთა გაკოტრება“ აღძრული ახალგაზრდა სპეციალისტის პრობლემა გვაიძულებს ბევრ რამეს ჩავფიქრდეთ: სტატიაში ნაჩვენებია ქვეყნის მრავალი უმაღლესი სასწავლებლისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ჰოდა, ჩვენ უნდა გამოვიტანოთ სწორი და ზუსტი დასკვნები იმ ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი მოთხოვნების დონის გამო, რომლებსაც ჩვენ ვუშვებთ. ცოდვა გატეხილი სკობს, რესპუბლიკის ბევრი მასწავლებელი ხომ სუსტად არის მომზადებული თეორიულადაც და მეთოდიკურადაც. მაგრამ, როგორც მასწავლებელთა ყრილობაზე ითქვა, 12 ათასზე მეტი პედაგოგიდან, რომლებმაც ატესტაცია გაიარეს, მხოლოდ ცხრა ცნეს თანამდებობის შეუფერებლად. თბილისში კი უკანასკნელი ხუთი წელია არც ერთი მასწავლებელი არ გაუთავისუფლებიათ იმის გამო, რომ იგი არ შეეფერებოდა თანამდებობას. განა ეს არ მოწმობს, თუ რა არაორიგინალურები ვართ ხოლმე ზოგჯერ საკადრო პოლიტიკაში?

რაც უნდა მწარე იყოს ფაქტები, ისინი საჯარო უნდა გახდეს. საჯაროობა ხელს უწყობს იმას, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა უფრო მეტი დაინტერესება გამოიჩინოს სახელმწიფო საქმეებში.

—პატივცემულო ჯუმბერ, თქვენ რეფორმით დაინტერესებ ბ უ ლ ი ბრძანდებით არა მარტო როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი არამედ, რადა თქმა უნდა, როგორც მამაც.

— დიახ, ორი ვაჟი მყავს. მესამე და მერვე კლასში სწავლობენ. რა თქმა უნდა, როგორც ყველა მამას, მინდა, რომ მათ სკოლაში სრულფასოვანი განათლება მიიღონ დროის სულისკვეთების შესაბამისად. ბავშვები ზოგჯერ ჩვენზე მეტად ჩვენ ცვლილებებზე, იქნებ, თავისებურად, მაგრამ ძალიან სამართლიანად. ვხედავ, ბავშვები უფრო გალაღდნენ, თავისუფლად ეზროვნებენ. კარგი იქნებოდა, მასწავლებლებიც უფრო გულგახსნილი რომ იყვნენ ბავშვებთან, გამოეძებნათ ურთიერთობის არაფორმალური ენა, ესე იგი გამოეყენებინათ თანამშრომლობის ის პედაგოგიკა, რაზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ დღეს. მაშინ რეფორმაც უფრო დაჩქარდებოდა.

— და ბოლოს: ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემა. ვიცით, რომ საქართველო ერთ-ერთი უველაზე მრავალეროვანი ხალხია პარადოქსული სიტუაცია: ერთი მხრივ, პერიფერიაში, განსაკუთრებით მაღალი მთის რაიონების სკოლებში, არ გვყოფნის უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები, მეორე მხრივ — ქალაქებში, სადაც უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელ ებ ი ა, არის ბევრი არამომუშავე სპეციალისტი... არასრული მონაცემებით, მათმა რიცხვმა ცხრა ათასს გადააჭარბა“.

— ამ დღეებში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „ძმრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის ყაზახეთის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ საკითხს, იგი, რა თქმა უნდა, ჩვენგანაც გარკვეულ ანალიზს და გაორმაგებულ მუშაობას მოითხოვს. ამჟამად, როცა საზოგადოებრივი ცხოვრ ე ბ ი ს ყველა სფეროს გარდაქმნა მიმდინარეობს, უმნიშვნელოვანესი საქმეა გარდაექმნათ ადამიანების შეგნება. აღარ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რაოდენ ძნელია ეს. თუ ინტერნაციონალური აღზრდის თემას კონკრეტულად სკოლაში გადავიტანთ, მე აქ რამდენიმე სურვილი მაქვს. ძალიან მინდა, რომ სკოლამ რაც შეიძლება მალე მოიშოროს პარადოქსობა, მრავალსიტყვაობა, უარი თქვას ჰაუის სწავლებასა და ხალხთა მეგობრობის დეკლარირებაზე. უაღრესად საჭიროა ბავშვები სიყმაწვილიდანვე ვაზიაროთ კულტურას, ერთიმორის ურთიერთობას. ჩვენ მრავალსეტყრიანი ეროვნული სკოლების კარგი გამოცდილება გვაქვს. მომაჩნია, რომ მისი განვითარების შესახებ არცთუ ჩვეულებრივი წინადადება მაქვს. იგი ჯერ კიდევ კარგად უნდა მოვიფიქროთ, გავაანალიზოთ. მაგრამ აი პირველი ვარაუდები: ალბათ არ შეიძლება, ვთქვათ, ახალი სკოლების შენებლობისას (იქნებ ძველ სკოლებშიც, სადაც არის ამის შესაძლებლობა) გამოვყოთ ორ-სამოთახიანი ნაგებობა, რომელიც შეიძლება იყოს პატარა სასკოლო სასტუმრო, რომელიც მთლიანად მოსწავლეთა გაწაგრულებაში იქნება. ასეთ სასტუმროებში შეიძლება ჩამოვიდნენ ბავშვები სხვა რესპუბლიკებიდან, მოეწყოს ერთობლივი შეკრებები, ლაშქრობები, მონაწილეობა მიიღონ შრომითს საქმიანობებში. სულაც არ არის აუცილებელი ეს მხოლოდ არდადეგების დროს ხდებოდეს, სწავლის დროსაც შეიძლება. ამ აზრმა შეიძლება განათლების მუშაკთა გაოცება გამოიწვიოს: კი მაგრამ, ხომ გვაქვს ბრძანება, მხოლოდ არდადეგების დროს ვიმოგზაურეროთო. ვფიქრობ, თუ უნარიანად წარვმართავთ სასწავლო პროცესს, ყმაწვილება ამით არაფერს დაკარგავენ. არადა, რამდენად სასარგებლო იქნებოდა, ერთი რესპუბლიკის მოსწავლეებს ზაფხულში პიონერთა ბანაკებში სხვა რესპუბლიკის თანატოლებთან რომ შეეძლოთ დასასვენებლად წასვლა. მე ეურჩევდი გაანალიზების ორგანოებს, პროფკავშირებსა და კომკავშირს იფიქრონ ამ წინადადებაზე.

უაღრესად საჭიროა, რომ ბავშვობაში ჩასაფული მეგობრობა მოწიფულობის წლებში გვეხმარებოდეს უკეთ გავიცნოთ და გავუგოთ ერთმანეთს. მეტად ამღელვებელი იყო ჩვენთვის საქართველოს ტელევიზიით ნოვოსიბირსკელი პედაგოგის ელვირა გარიუნინას გამოსვლა, რომელმაც ციმბირელ ბავშვებს გააცნო და შეაყვარა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენ ეს ბავშვები მათს მასწავლებელთან ერთად სტუმრად მოვიწვიეთ. ბავშვებს მოგზაურობა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, საზოგადოებამცოდნეობის გაკვეთილებზე გავლილი ცოცხალი მასალაა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შობლიური ქვეყანაში მოგზაურობას. საკუთარი თვალით უნდა იხილო მისი მასშტაბი, მის საზრუნავს საკუთარი მსოფლშეგრძნებით უნდა ჩასწვდე. ეს პრობლემის ერთი ასპექტია. იქნებ არცთუ ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მინდა მასზე შევჩერო ყურადღება.

ინტერნაციონალური აღზრდისათვის მარტო პედაგოგებმა კი არა, პარტიულმა მუშაკებმა, მშობლებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა იფიქროს. ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს პედაგოგთა აგვისტოს კონფერენციებზე.

— დიდი მადლობა, პატივცემულო ჯუმბერ, იმისათვის, რომ დაგვთანხმდით შეგვხვედროდით და გესაუბრათ.

— სამწუხაროდ, წინათ არასდროს გამოვსულვარ თქვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა: პარტიული მუშაკები ხშირად უნდა გამომიოდნენ სკოლის რეფორმის, მისი ადგილიდან დაძვრის საკითხებზე, გვთავაზობდნენ თავიანთ იდეებს, გვიზიარებდნენ ეჭვსა და აზრებს. თქვენი გაზეთი და ბევრი სხვა გამოცემა დიდ მუშაობას ეწევიან რეფორმის წინ წაწევისათვის. ხოლო რაც უფრო აქტიური და მებრძოლი იქნება ჩვენი პრესა, მით უკეთესი საქმისათვის.

საუბარი ჩაიწერა

ი. აფანასიევმა.

„უჩიტელსკაია გაზეტა“, 1987 წ. 30.VII.

სოციალისტურ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციელებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული განხილვის მიზნით გამართულ და სოციალისტურ ქვეყნებში საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრების წესი, იხვეწება თანამშრომლობა მათთან ადგილობრივი კავშირურთიერთობის ხაზით.

გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოები, საწარმოთა და გაერთიანებათა, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც კავშირურთიერთობა (ადგილობრივი კავშირურთიერთობა) აქვთ სოციალიზმის ქვეყნებში თავიანთ საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, დამოუკიდებლად გაგზავნან დელეგაციებსა და ცალკეულ მუშაკებს ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ერთ წლამდე ვადით. სკკპ წევრთა გაგზავნა უნდა შეუთანხმდეს პარტკომს (პარტბიუროს), კომკავშირელებისა — კომკავშირის კომიტეტს, პროფკავშირთა წევრებისა — პროფკომს (პროფბიუროს).

იმ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც მონაწილეობენ სოციალისტურ ქვეყნებში პარტნიორებთან თანამშრომლობაში, ნება ეძლევათ გაემგზავრონ ხანმოკლე მივლინებით ამ ქვეყანაში შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ზეპირი (ოპერატიული) შეთანხმებით.

სოციალისტურ ქვეყნებში გამგზავრების საფუძველია საპარტიათაშორისო, საპარლამენტო (მოკავშირე რესპუბლიკების დონეზე), ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური, იდეოლოგიური, კულტურული და სპორტული კავშირურთიერთობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ტურისტული გაცვლის ხაზით თანამშრომლობის გეგმები და კვოტები. ასეთივე საფუძველია სოციალისტურ ქვეყნებში პარტნიორებთან სსრ კავშირის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ დადებული შეთანხმებანი და კონტრაქტები.

გეგმებითა და კვოტებით გაუთვალისწინებელი მოგზაურობა შეიძლება იმ პირობით, თუ არის საჭირო სახსრები, დაქვემდებარების მიხედვით სამინისტროების, უწყებების, ცენტრალური ორგანიზაციების თანხმობა.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები ახლა დამოუკიდებლად გადაწყვეტენ ადგილობრივი მეგობრული კავშირურთიერთობის ხაზით თანამშრომლობის საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში საქმიან კონტაქტებს დაამყარებენ აგრეთვე პარტნიორებთან დამყარებული კავშირურთიერთობის ფარგლებს გარეთაც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიურ კომისიას წინადადება მიეცა განიხილოს სსრ კავშირისა და მომავალ ქვეყნების მეგობრულ რეგიონებს შორის პირდაპირი საქონლგაცვლის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

საწარმოო საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია იმის შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთ სოციალისტურ ქვეყანაში გაგზავნილი სპეციალისტები გაემგზავრონ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში იმ საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ნებართვით, რომლებმაც ისინი მივლინებაში გაგზავნეს.

მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროები, ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, სამხარეო, საოლქო და საქალაქო აღმასკომების შინაგან საქმეთა სამმართველოები გასცემენ სოციალისტურ ქვეყნებში მივლინებულთათვის სასამსახურო პასპორტებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წარდგინებების საფუძველზე.

სოციალისტურ ქვეყნებში მიმავალ ტურისტებს წასასვლელ დოკუმენტებს მისაცემენ საბჭოთა დელეგაციებისა და ცალკეული მუშაკების გამგზავრებისათვის გათვალისწინებული ერთიანი წესით.

მხედველობაშია მიღებული, რომ სოციალისტურ ქვეყნებში მივლინებანი ორგანიზაციისა და შედეგიანობისათვის პასუხს აგებენ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციებ ი ს მდივნები, პროფკავშირული ორგანიზაციების თავჯდომარენი და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები.

სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობის გაფართოების ინტერესებისათვის

30 ივლისი ● საკდესი იუწყება

უცხოეთში
ფაქტები • მოვლენები

მხარს უჭერენ სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს

საშუალო სიშორის რაკეტების მოსპობა რეალური ნაბიჯია ბირთვული განიარაღების გზაზე

ჯაკარტა. ახალი საბჭოთა საშვიდობო ინიციატივები, რომლებიც გაზეთ „მერდეკას“ კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხშია წამოყენებული, ყოვლისმომცველი ხასიათისაა, მას ინტერესით აღიქვამენ მსოფლიოს ყველა კუთხეში, წერს ინდონეზიის „სუარა პემბარუანი“. ამავე დროს, აღნიშნავს გაზეთი, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სსრ კავშირის წინადადებებმა ხორცი შეისხას, ვინაიდან მათი რეალიზაციის გზაზე მრავლად არის დაბრკოლებანი, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული „პერშინგ-1ა“ რაკეტების ამერიკული ბირთვული მუხტები. საბჭოთა ხელმძღვანელის მზადყოფნა — გაანადგურონ ყველა საშუალო სიშორისა და ოპერატიულ- ტაქტიკური რაკეტა სსრ კავშირის აზიის ნაწილში, გამოვლინებაა საბჭოთა კავშირის ახალი საარსებო საგარეო-პოლიტიკური კურსისა, რომელიც ერთი წლის წინათ ჩამოაყალიბა მ. ს. გორბაჩოვმა ვლადივოსტოკის სიტყვაში, — აღნიშნავს „ინდონეზიან ობსერვერი“. ამ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები, წერს „სუარა კარია“, აღფრთოვანებით აღიქვეს მიუმხრობელმა ქვეყნებმა.

ულან-ბატორი. საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო წინადადებებს კონტინენტის საზოგადოებრიობა მიიჩნევს გაბედულ პოლიტიკურ ნაბიჯად, რომელიც შემოქმედებითად ავითარებს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პროცესში აზიის ჩაბმის ვლადივოსტოკის პროგრამას, აღნიშნავს გაზეთ „უნენი“ ფურცლებზე აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მონღოლეთის კომიტეტის თავმჯდ

კონტროლზეა მკითხველთა წერილები

ხულოს რაიონის სოფელ სტეფანაშვილებიდან მიღებულ კოლექტიურ წერილში უკმაყოფილება იყო გამოთქმული იმის გამო, რომ ვერ იღებენ ტელეგადაცემებს.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადამცემი ცენტრის ხელმძღვანელობამ გვაცნობა:

ჩვენმა სპეციალისტებმა შეისწავლეს სოფელ სტეფანაშვილების სატელევიზიო გადაცემებით დაკმაყოფილების შესაძლებლობა. გამოირკვა, რომ რთული რელიეფური პირობების გამო სოფლის ნახევარი მოქცეულია რადიოჩრდილის არეში, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა გადაცემებს უყურებს ს. პანწნარში არსებული რეტრანსლატორის საშუალებით. სოფლის მოსახლეობის ტელეგადაცემებით უზრუნველყოფისათვის საჭიროა დაიდგას დამატებითი რეტრანსლატორი.

მიმდინარე წელს ხულოში მონტაჟდება და წლის ბოლოსათვის ამოქმედდება სატელევიზიო სადგური, რომელიც გაუმჯობესებს სატელევიზიო პროგრამების მიღებას.

✦—✦

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მცხოვრები ი. იმერლიშვილი გულისტკივილით გვწერდა, რომ თბილისის პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ხშირად ირღვევა ვაჭრობის სანიტარიული წესები, ბოსტნეული და ხილი ბევრს პირდაპირ მიწაზე უყრია და ისე ყიდის. ასევე უხერხულია, რომ უწესრიგობის მოწმენი ვხდებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროსაც.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს:

თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში საღღესასწაულო და საახალწლო ვაჭრობასთან დაკავშირებით თავისუფლდება დახურული სავაჭრო დარბაზი სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან და აქ ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, რძითა და რძის ნაწარმით, რიგთა შორის იდგმება დამატებითი მაგიდები. საღღესასწაულო და საახალწლო ვაჭრობის უკეთ მოწყობის მიზნით გამოყოფილია გაერთიანების პასუხისმგებელი მუშაკი. მომავალში საღღესასწაულო და საახალწლო ვაჭრობასთან დაკავშირებით ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ამასთუმნის და კლ. ცეტკინის ქუჩებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწაზე დაყრისა და ანტისანიტარიული ვაჭრობის აღმოფხვრის მიზნით გამონთავისუფლებული იქნება მოქმედი ფასიანი ავტოსადგომები. შეწყდება ავტომანქანების მოძრაობა ორჯონიკიძის ქუჩის კუთხიდან კლარა ცეტკინის ქუჩამდე და დიდგზეა დამატებითი მაგიდა-დახლები. ამგვარად მთლიანად აღიკვეთება მიწაზე დაყრილი პროდუქტების ვაჭრობის ფაქტები.

საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხი განიხილა მოძრაობის უსაფრთხოების საქალაქო კომისიამ.

უკანასკნელ ხანს ქალაქის ძირითად მაგისტრალებზე მგზავრთა ნაკადების ზრდის შესაბამისად მიწისზედა საქალაქო ტრანსპორტზე მცირე ტევადობის ორკარიანი მოძრავი შემადგენლობები თანდათან შეიცვალა 3-4 კარიანი „იკარუსის“ ტიპის ავტობუსებით. ასეთ მოძრავ შემადგენლობაში დადგენილი არ არის კარების რიგითობა მგზავრების ასვლა-ჩამოსვლისათვის, ისევე როგორც ეს მეტროპოლიტენის მატარებლებზეა მიღებული. იმავე დროს ინვალიდები, ფეხმძიმე ქალები, ბავშვები, სხვა ამ კატეგორიის მგზავრები, რასაკვირველია, სარგებლობენ მძღოლის კაბინასთან განლაგებული კარიდან ასვლა-ჩამოსვლის უფლებით. რაც შეეხება წარწერას „ადგილი ინვალიდებისა და ბავშვებისათვის“, კომისიის გადაწყვეტილებით თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას დაეკვალა აღადგინოს ასეთი წარწერები ყველა მოძრავ შემადგენლობაში.

✦—✦

ლანჩხუთელი ს. ყიფიანი გვწერდა, რომ საკონდიტრო ნაწარმსა და უალკოჰოლო სასმელებზე გამოშვების დრო და შენახვის ვადა ხშირად გაურკვევლად არის აღნიშნული, თანაც სავაჭრო ქსელში ეტიკეტებამძვრალი „ბორჯომიც“ იყიდებაო.

საქაგრომრეწვის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველო გვაუწყებს:

ჩვენი სპეციალისტების მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ ხშირ შემთხვევაში საკონდიტრო ნაწარმის და უალკოჰოლო სასმელების ეტიკეტებზე დამზადების თარიღი გაურკვევლად იყო აღნიშნული, ხოლო „ბორჯომის“ ზოგიერთ ბოთლზე ამძვრალი იყო ეტიკეტები და არ იყო აღნიშნული შენახვის ვადა.

წერილში აღნიშნული საკითხი გახდა საკონდიტრო და მინერალური წყლების საწარმოთა და კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს მკაცრი მსჯელობის საგანი, სადაც აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დაინახა და გატარდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები.

საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით ბისკვიტის საამქროს ტექნოლოგს და ცვლის ოსტატს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო საამქროს უფროსსა და ცვლის ქიმიკოსს — საყვედურები. მიღებულია მზედველობაში, რომ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორი ანალოგიური დარღვევებისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

მკაცრად გააფრთხილეს საკონდიტრო საწარმოთა ხელმძღვანელობა, რომ განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ ეტიკეტებზე გამოშვების თარიღისა და შენახვის ვადის აღნიშვნის ხარისხს.

სავაჭრო ქსელში სხვადასხვა მინერალური წყლის „ბორჯომის“ წყალში არევის თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე წლის III კვარტალიდან ბოთლებზე დასახუფ საცობს გაუკეთდება მბატგრულად გაფორმებული წარწერა „ბორჯომი“, ამასთან მკვეთრად გაუმჯობესდება ეტიკეტების მიწებების ხარისხი.

✦—✦

ქ. ტყიბულში ოქტომბრის ქუჩის №1 სახლის მცხოვრებნი ჩიოდნენ, რომ მათი სახლის სარდაფში მუდმივად დგას წყალი, გავრცელებულია კოღო, ეზოში უსწორმასწორო ადგილების გამო დგება გუბეები, სახურავიდან ჩამოდის წვიმა.

ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი გვწერს:

აღნიშნულ საცხოვრებელ სახლს გაუკეთდა ბეტონის საურდენი კედელი კლდოვანი ფერდობიდან ქვის ცვენის საშიშროების აღსაკვეთად, სახლის გვერდითი ადგილიდან გაიტანეს რამდენიმე ასეული კუბური მეტრი მიწა, რითაც სახლის ირგვლივ შემოვლის საშუალება შეიქმნა, სარდაფში წყლის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით შესრულდა შესაბამისი სამუშაო, მალე დაიგება ასფალტი და ეზოში აღარ დადგება გუბეები. სახურავის შეკეთება გეგმით გათვალისწინებულია პირველ სექტემბრამდე, ასევე აღდგენილი იქნება სახურავის წყალსაწრეტი მილები.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებისადმი დაწესებულია კონტროლი.

◆ ნაძალადევი სურვილი.

◆ ფასი მაინც ვერ დადგინდა.

◆ გაუქმებული სამგზავრო გილეთი.

◆ ქსანზე გადასვლა სახიფათოა.

◆ ქუჩა სახელსაც უნდა ამართლებდეს.

◆ მუშრომელთა წინადადებების გათვალისწინებით.

◆ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ფოტოფოყვარულის ობიექტივით

გზიფის ხეობაში. ს. თევზაძის ფოტო.

ხიდი მაინც შეგვიკეთონ

სოფლების ქუთრის, ნახიდის, ვეზეურეთის მეცხოველეებს ძლიერ გვაწუხებს, რომ ჩვენ სამაგრილიან თხოვნას ყურად არაერი იღებს. საქმე ის არის, რომ ჩვენთან მდინარე ქსანი ზამორობით იყინება, ზაფხულში კი ადიდებული მოდის. მდინარეში მანქანას უჭირს გასვლა, ავადმყოფი რომ გვყავდეს ოჯახში, ბიდზე ფეხით გვიწევს მისი გადაყვანა, მოსწავლეებიც ამ ხიდით დადიან. ხიდი ძველთა ძველი და უვარგისია. ხიდი მაღალზეა გადმოკიდებული, ეს მოჯირითი და არც ბადით არის შემოღობილი. უბედური შემთხვევაც მომხდარა ადრე. ხიდზე დადიან საზაფხულო საძოვრებზე მიმავალი მწყემსებიც, საზრდოც ამ გზითვე გადაავთ... ერთი სიტყვით, ხიდი მიგდებული და უპატრონოა. მასზე არც სოფლის ხელმძღვანელობა ზრუნავს და არც სხვა ვინმე.

როგორც ვიცით, ამ ხიდის შესაკეთებლად გამოწერილია 4 კუბური მეტრი ფიცარი, მაგრამ, სჩანს, ხიდს არ მოხმარებია მასალა.

ბევრგან სამანქანო გზები გაიყვანეს, ხიდებიც და გზებიც შეაკეთეს, მაგრამ, რატომღაც, ჩვენი სოფლები რჩება უყურადღებოდ. სოფლის გასაჭირზე უამრავი წერილი გავუგზავნეთ რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ვინ გიგდებს ყურს?!

სოფლის მთელი მოსახლეობა გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ ხიდის აღდგენაში.

ვ. ხრიკული,
ლენინგორის რაიონის სოფელ ქუთრის მცხოვრებთა სახელით.

ქუჩა მზრუნველს ელოდება

ქალაქ ამბროლაურის ერთ-ერთ ქუჩას, რომლის სიგრძეც 300-400 მეტრია, აქტიური რევოლუციონერის ვ. ხუციშვილის სახელი ეწოდა (იგი 1905 წლის რევოლუციის დროს ყანდარმებმა დახვრიტეს). ამან ჩვენი ქუჩის ყველა მცხოვრებს კმაყოფილება გამოიწვია. კარგი იქნებოდა, ქალაქის მესვეურებს ქუჩის კეთილმოწყობაზეც ეფიქრათ. წლების მანძილზე ქუჩას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ქალაქის საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამსახურის მუშაკები გაიძახიან, საჭირო თანხები არა გვაქვსო.

ქუჩაში მრავალი ორმოა, ყოველი წვიმის დროს გუბეები დგება, ქუჩას არა აქვს წყალსადენი არხი, ამას ემატება მოსახლეობის წყლის ონკანებიდან გამონადენი წყალი, და სიარული ჭირს. ქუჩის შესაკეთებლად საჭიროა რამდენიმე მანქანა ხრეში და 80-100 მეტრი სიგრძის არხის გაკეთება. სუსტია განათებაც. ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება მოსახლეობის შრომითი მონაწილეობითაც, ოღონდ საჭიროა ქალაქის საბჭოს ინიციატივა და ხელმძღვანელობა.

ნ. გოგორელიანი,
პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი.

ROCA თქმა სჯობს არათქმასა

მანკიერება ნებაყოფლობითობის ნიღბით

საკითხი, რომელზეც ახლა მინდა გესაუბროთ, უნებლიეთ მაგონებს იმ წლების ამბებს, როცა ნებაყოფლობის ნიღბით მოპარპაშე ძალადობის ფართო ასპარეზი ჰქონდა დათმობილი. როცა ზოგიერთი ღიმილითა და ხუმრობით შებედავდა მოხელეს, ეს ხომ ნებაყოფლობითიაო, ასე უპასუხებდნენ: ნებაყოფლობითია, ამხანაგო, მაგრამ სავალდებულოაო. მართალი გითხრათ, ჯერაც ვერ გავრკვეულვარ ამ უცნაური ფრაზის შინაარსში. როგორ შეიძლება ეწოდოს ნებაყოფლობითი იმას, რაც სავალდებულოა? სიტყვა ნებაყოფლობითი იმიტომ ხომ არ ახლავს სავალდებულოს, რომ ამით ზოგი მანკიერი მოვლენა დაიფაროს?

სულითა და გულით მივესალმები დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესებს. თუმცა ბევრი სიტყვასა და საქმეს შორის ჯერ კიდევ ვერ ამყარებს მჭიდრო კავშირს და მათი ხმაური დემოკრატიზაციის შესახებ მხოლოდ ბიუროკრატიის შელამაზებას ემსახურება.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს თვითნებობის თუნდაც ერთი ფაქტი. საქმე ის არის, რომ ნებაყოფლობა იყო თუ ძალადობა, წარსულში სხვადასხვა ღონისძიებებს რომ ახორციელებდნენ, ფორმალურ წესს მაინც იცავდნენ. ადამიანებს უკითხავდნენ, უთანხმდებოდნენ, შესაბამის დოკუმენტზე ხელს აწერინებდნენ, ცადახდილ თანხაზე ქვითარს აძლევდნენ და ა. შ. ახლა კი, აი, უკვე რამდენიმე წელია ეს ფორმალობაც უკუაგდეს და ასპარეზი დაეთმო შიშველ ადმინისტრირებას. რაიონის ხელმძღვანელობის სახელით ცენტრალიზებული წესით გამოსძალავენ ფულს დაწესებულებათა თანამშრომლებს ისე, რომ სულაც არაფერს ეკითხებიან.

მაგალითად, მიხვალ კაცი ხელფასის ასაღებად და მხოლოდ მაშინ შეიტყობ, რომ რაიაღმასკომის დაუკავოთო. მეორე შემთხვევაში კი იმავე ბუღალტერიაში გახვედრებენ ამბავს, რომ, კვლავ რაიაღმასკომის ორგანოების განკარგულებით, გსურს თუ არა, უნდა დააზღვიო შენი ბინის ავეჯი, (არც იმას აქვს მნიშვნელობა, გაქვს თუ არა ბინა და ავეჯი) და ამისთვის უკვე დაგიკავდათ ხელფასიდან სამი მანეთიო. თან განუგეშებენ ამ ათასვგვარი წერეთრანსის თაოსნები, რომ მანეთი რა სალაპარაკოაო. ასეთ დემაგოგებს ავიწყდებათ, რომ მეტად ბევრია ასეთი მანეთები.

ორგანოებს დირექტორისათვის უბრძანებია, დირექტორს კი ბუღალტრისთვის, რომ ყველა თანამშრომელი უნდა გახდეს დოსაააფის, წითელი ჯვრისა თუ „ტყის მეგობრის“ წევრი და ამისთვის ხელფასიდან თითო მანეთი უნდა

სამწუხაროდ, ბევრი უკანონობა ისე ინერგება ჩვენში ადგილობრივი თუ რესპუბლიკური ორგანოების თვითნებობით და ისე იძენს კანონის ძალას, რომ ზოგჯერ მთავრობას წარმოდგენაც კი არა აქვს ამ თვითნებობაზე.

მანკიერება ნებაყოფლობითობის ნიღბით

ხელს აწერინებდნენ, ცადახდილ

ავეჯი

ავეჯოთ ფაქტი გლდანის რაიონის მე-2 დამზმარე სკოლა-ინტერნატის სინამდვილიდან. გასულ სასწავლო წელს, ხელფასის აღების დროს ბუღალტერმა გვითხრა, რაიაღმასკომმა განკარგულება მოგვცა, რომ ბინის ავეჯი უნდა დაზღვიოს ყველა თანამშრომელმა და ამისათვის სამ-სამი მანეთი დაგიკავეთო, ამგვარი განკარგულება კვლავ განმეორდა ახლა, აპრილის ხელფასის აღების დროს და სამ-სამი მანეთი კიდევ წაგვართვეს უკლებლივ ყველას.

საოცარია! დალოცვილო, მეკითხე მაინც, იქნებ სულ არა მაქვს ავეჯი და რა უნდა დავაზღვიო? დასამალი როდია და თქვენ [illegible] [illegible] [illegible]

ექსპოზიციაშია საუკეთესო საბჭოთა წიგნები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა საკავშირო წიგნის გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება. ექსპოზიციაშია დაახლოებით 2000 წიგნი, ბროშურა, ალბომი, რომლებიც ბოლო დროს გამოუშვა ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობამ.

საიუბილეო გამოფენა იხსნება მწიგნობრული ლენინიანის ახალი გამოცემებით. სტენდებზე გამოფენილია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ფუძემდებელი შრომები, მეძუარული ლიტერატურა და ილუსტრაციები. თბილისის ექსპოზიციაში წარმოდგენილი ფუნდამენტური ხუთტომიანი გამოცემა „მოგონებანი ლენინზე“ ექსპონირებული იყო ქვეყნის მრავალ გამოფენაზე და საზღვარგარეთ. ამ მემუარულ ანთოლოგიას თემატურად უკავშირდება „ახალგაზრდა გვარდიელთა ლენინიანის“ წიგნები. რევოლუციონერები, მწერლები, მუშები, მეცნიერები გვიამბობენ ნანახსა და განცდილზე, ისინი მოგვმართავენ ჩვენც და მომავალ თაობებსაც.

სერიას „სკკპ ისტორია თანამედროვეთა მოგონებებში“ ხსნის პოლიტგამომცემლობის ახალი წიგნი „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია... (1895-1903)“. ასეთი წიგნი პირველად გამოიცა და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

უდიდეს როლს ასრულებს წიგნი საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებაში და, მაშასადამე, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნაში, რომელიც დღეს ხორციელდება. ექსპოზიციაშია ეკონომიკის მართვის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ამსახველი წიგნები. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებაში წარმოდგენილია მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსის სივრცის ათვისების, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის პრობლემებისადმი მიძღვნილი წიგნები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ნამუშევრები, რომლებშიც გაშუქებულია იმ ბრიგადების, საწარმოებისა და გაერთიანებების გამოცდილება, რომლებიც დაადგნენ მეურნეობრიობისა და მართვის ახალი ფორმების გზას.

გამოფენაზე წარმოდგენილია სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე გამოცემული მრავალტომიანი ენციკლოპედიები. აქ არის 80-იანი წლების მხატვრული ლიტერატურაც. ამ პერიოდის საუკეთესო ნაწარმოებებმა შეძრა საზოგადოების შეგნება, მწვავე დისკუსიები და განხილვები მოჰყვა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყანამ მიმდინარე ცვლილებების სწორად გაგებისათვის.

თვალს იტაცებს განყოფილება, რომლებშიც წარმოდგენილია ლიტერატურა ნორჩი მკითხველისათვის და ალბომები. თბილისის ექსპოზიცია აცნობს დამთვალიერებლებს წიგნის გამოცემის განვითარებასა და მიღწევებს, წარმოდგენას უქმნის ჩვენს ქვეყანაში ბეჭდვითი საქმესა და მასშტაბზე.

ვერნისაჟზე გამოვიდა საქართველოს სსრ განსახკომის თავმჯდომარე რ. ღლონტი. მან გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელი ექსპოზიცია არა მარტო გაამდიდრებს დამთვალიერებლებს ახალი შთაბეჭდილებებით, არამედ გადაიქცევა იმ ადგილად, სადაც ნაყოფიერი სჯა-ბაასი გაიმართება გადასაწყვეტ ამოცანებზე, საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში წიგნის როლის შემდგომი გაზრდის გზებზე. (საქინფორმი).

აბიტურიენტი—87

მისალმები გამოცდების წინ

ერთი შეკითხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა: „შევუდექით რა საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმას, ჩვენ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით განათლების თანამედროვე სისტემის შექმნის გზაზე“.

რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებები, ბუნებრივია, უმაღლეს სკოლებში მისაღები გამოცდებიდანვე იგრძნობა.

გთხოვთ, გვესაუბროთ, რა სიახლეებია წელს თქვენთან მისაღებ გამოცდებზე?

ო. ნათიშვილი — საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი: ეფიქრობთ, გამოცდებისათვის ურიგოდ არ მოემზადა ჩვენი სასწავლებლის კოლექტივი. რესპუბლიკის რაიონებში სისტემატიურად ჩადიოდნენ საპროფორიენტაციო კომისიები, შექმნილი გვქონდა მოსამზადებელი კურსები, აბიტურიენტებს ჩვენი ლექტორები, მასწავლებლები ახლა ყველა საგანში უწევენ კონსულტაციებს, უჩვენებენ ლექციების ვიდეოჩანაწერებს.

მინდა ვაუწყო იმათ, ვისაც დაუსწრებლად სურს სწავლის გაგრძელება, რომ ჩვენს დაუსწრებელ განყოფილებაზე მისალები გამოცდები იანვარში იქნება.

არის ერთი ცვლილება: „სატყეო მეურნეობის“, „დაკონსერვების ტექნოლოგიისა“ და „მეღვინეობის ტექნოლოგიის“ სპეციალობებზე აბიტურიენტები გამოცდას ფიზიკის ნაცვლად ქიმიაში ჩაბარებენ.

გამოცდების საჯაროობისა და კონკურსის მიმდინარეობაზე ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავების მიზნით ფართოდ გამოვიყენებთ ტექნიკურ საშუალებებს.

ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტის 20 პროცენტი გამოყოფილია ქალაქში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის.

გ. აბულაძე — საქართველოს ზოოტექნიკურ-საცხოველთა ნასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი: ჩვენს სასწავლებელშიც სპეციფიკის გათვალისწინებით უპირატესობა სოფლის ახალგაზრდობას ენიჭება. ქალაქში მცხოვრებთათვის გამოყოფილია ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტის მხოლოდ 10 პროცენტი.

სულ ზოოსაინჟინრო და საცხოველთა ფაკულტეტების ქართული და რუსული სექტორების სტაციონარზე მივიღებთ 250 კაცს. მეტი ობიექტურობის მიღწევის მიზნით, აბიტურიენტები ყველა გამოცდას წერით ჩააბარებენ.

ნ. ძარძაშაძე — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი: სრული ობიექტურობა და საჯაროობა! — აი, უმთავრესი მიზანი, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაღწიოთ გამოცდებზე. ამ მიზნის ემსახურება ჩვენი ის გადაწყვეტილება, რომ ყოველ აბიტურიენტსა და მის გულმშფოთვიარსაც, თუ ისურვებენ, დაუბარკოლებლად შეეძლებათ შეხვედრა ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან, სადაც საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები.

სულ აბიტურიენტთათვის 275 ადგილია გამოყოფილი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიისა და სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტებზე.

გამარჯვებული ანსამბლები

ახმეტის რაიონის ხუთი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას საოჯახო ანსამბლების რესპუბლიკური დათვალიერების ბოლო ტურში, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში მოეწყობა.

ათი შორის არის სვანეთიდან საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში ჩამოსახლებული ჩართოლანების ოჯახის ხუთკაციანი ანსამბლი, რომელმაც თავისი ხელოვნებით მოხიბლა მსმენელი.

დათვალიერება-კონკურსს წინ უსწრებდა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ოსტატთა ნაბეჭდავი.

(საქინფორმი).

ესათუთებიან წინაპართა სამაროვნებს

ალექსანდრე მაკედონელი „სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათერთმეტ თთუჯ და დადგა სარკინესა დასავლეთ კერძო და დასცა ვენაკი და რუჯ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მეურვენი დასტაგითა რუსაათა; და ჰრქჯან ადგილსა მას ნასტაგისი“. — ვკითხულობთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრონიკებში.

ნასტაგისი ანუ ნასტაკისი მინდორია მტკვრის მარცხენა ნაპირას, ქსნის შესართავს ქვემოთ. მას ჩრდილოეთიდან საზღვრავს სავანეთის ქედი, რომლის ბოლო მწვერვალზე ქსნის ციხეა აღმართული.

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატაც ცხადყოფს, ამ ადგილთან არის დაკავშირებული უძველესი ქართული წერილობითი ცნობა პირველი სარწყავი არხის მშენებლობის შესახებ.

ნასტაკისის მინდორზე გათხრებს აწარმოებს არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ალექსი ბოხოჩაძის ხელმძღვანელობით.

— გათხრების დროს ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა ადამიანის ცხოვრების კვალი შუა ბრინჯაოს ხანიდან, ესე იგი ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან,— გვითხრა ალექსი ბოხოჩაძემ. — უკვე გათხრილია შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი, გვიან ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, საცხოვრებელი ნაგებობები, კერიები, ღუმელები, საწოლები, პირუტყვის სადგომები და ა. შ. ნაგებობები ნახევრად მიწურია, მიწაში ამოშენებული ქვიშაქვის ნახეხი ლოდებით, ხოლო მიწისზედა ნაგებობა მარგილებზეა ლასტით მოწნული. ნასტაკისის ველზე აღმოჩენილი ძეგლები და სხვა მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე. ანტიკური ხანის ეს ნაქალაქარი, რომელიც ათობით ჰექტარს მოიცავს, ერთ დროს ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქის მცხეთის უბანი იყო.

აი, ასეთ საინტერესო, მნიშვნელოვან არქეოლოგიურ გათხრებზე ატარებს თვის მესამე, შრომითის სემესტრს **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტების რაზმი „ნასტაკისი-87“.**

თავს დასტრიალებენ უძველეს სამაროვნებს ახალგაზრდები. ისე კარგად დაუფლებიან არქეოლოგიის ტერმინებსა და სამუშაოს, ხელი ისე აქვთ გაწაფული, უცხო ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ისინი არქეოლოგები კი არა, ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

თავისი ქვეყნის სიყვარულმა, საქართველოს ისტორიული წარსული ჯერაც უცნობი საიდუმლოებების წვდომის დაუცხრომელმა სურვილმა მოიყვანა აქ ეს 20 ახალგაზრდა. ნასტაკისისა არქეოლოგიურ გათხრებზე მუშაობის მსურველი საკმაოდ ბევრი ყოფილა ფაკულტეტზე, მაგრამ ყველას გამოგზავნა ვერ მოხერხებულა და მხოლოდ ერთი რაზმი შექმნილა. რაზმს მეთაურობს ქიმიის ფაკულტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის თანამშრომელი ლევან შარაბიძე. რაზმის ხელმძღვანელი კმაყოფილია სტუდენტთა მუყაითობით. „ახლა ნასტაკისის ველზე სამარხების გასახსნელი სამუშაოები მიმდინარეობს. ვაყენები სამარხების ზედა ფენებს ხსნიან, მთელი დღე წერაქვი და ნიჩაბი უპირავთ ხელში, ქალიშვილებისთვის სამარხების პრეპარაცია მიუნდვიათ — პატარა წერაქვებითა და ჯაგრისებით წმენდენ და ასუფთავებენ ქვებს. საკმაოდ რთულ, დამქანცველ სამუშაოს ტრიალ მინდორზე ასრულებენ, თან. ივლისის პაპანაქება სიცხესაც თუ გავითვალისწინებთ, ადვილად წარმოვიდგენთ, რა დღეში არიან არქეოლოგთა თანაშემწენი, მაგრამ „ახალგაზრდები თავს არ ზოგავენ, მით უფრო, რომ ექსპედიციას მუშახელი უჭირს.

გვესაუბრება რაზმის კომისარი, მეორე კურსის სტუდენტი გიორგი თალაკვაძე: თავიდან ძალიან გვეჭირდა მუშობა. ზოგიერთ ჩვენგანს არასოდეს არ. შეუსრულებია მიწის სამუშაოები, შეუჩვევლნი ვიყავით. ახლა შრომასაც შეეჩვეოთ და ალლოც აეუღეთ — შეგვძინია არქეოლოგიური სამარხების ცნობა. ახლა, როცა სამარხების ზემო ფენას ვასუფთავებთ, ენახულობთ ოთხკუთხოვანი ფორმის სამარხებს, რომლებსაც გარშემო წრეებად ქვები აქვს შემოწყობილი. ერთი სული გვაქვს, როდის გავხსნით სამარხებს.

თურმე ნუ იტყვით, სამარხების გახსნა ყოველდღე ერთი უბრალო, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: ჯერჯერობით დარაჯი ვერ მონახეს.

მესამეკურსელი დოდო ჩორგოლაშვილი ბევრ საერთოს ჰხედავს ქიმიკოსისა და არქეოლოგის პროფესიებს შორის: არქეოლოგს ქიმიკოსივით ფაქიზი ხელი უნდა ჰქონდეს. ისეთი საქმე, როგორიც პრეპარაციაა, — ამბობს იგი, — ქიმიისავით სიზუსტესა და სიფაქიზეს მოითხოვს.

მეოთხეკურსელი რუსუდან სურმავა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხელნაწერების ინსტიტუტში აპირებს მუშაობას, ძალზე იტაცებს მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლა, ამიტომ არის, რომ ასეთი გულისყურით ეკრმავდება არქეოლოგიის საიდუმლოებებს.

მუყაითად შრომობენ არჩილ გახელაძე, ალექსანდრე მახარაძე, პაატა ცუცქირიძე, ნინო ყიფიანი, ნატო კანდელაკი...

სტუდენტებს მუშაობისა და ყამირული ცხოვრების ჩინებული პირობები აქვთ შექმნილი, კმაყოფილი არიან. ყურადღება და მზრუნველობა არ აკლიათ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოებისაგან.

რაზმის შრომითი დღე 4 საათზე მთავრდება. ამის შემდეგ საკუთარი ავტობუსით საცხოვრებელ სახლებს მიაშურებენ ხოლმე ქსნის მინის ტარის ქარხნის კორპუსებში. შინაარსიანად ატარებენ თავისუფალ დროსაც. საღამოს დიდი ინტერესით ისმენენ ექსპედიციის ხელმძღვანელის ალ. ბოხოჩაძის ლექციებს არქეოლოგიაზე, საქართველოსი და სხვა ძველი ქვეყნების ისტორიასა და კულტურაზე, აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებს. იყვნენ ექსკურსიებზეც — ნახეს ძალისის ნაქალაქარი, სხვილოსა და ქსნის ციხეები. ახლა ქვათაბევში აპირებენ წასვლას.

უნივერსიტეტელები ბევრ საინტერესოა და საინტერესოს სწავლობენ თავიანთი უფროსი მეგობრებისაგან, ექსპედიციის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ამირან ზანგურისაგან და უფროსი ლაბორანტის გია გოზალიშვილისაგან, ემადლიერებიან თავიანთ ექიმს თამაზ კორძახიას. სტუდენტები დაუმეგობრდნენ არქეოლოგიური ექსპედიციის სხვა მონაწილეებს—ქსნის საზოგადოებრივი მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს.

ყმაწვილური ენთუზიაზმით, ენერგიითა და ხალისით აღსავსე დღეებია ნასტაკისის ველზე. აქ, იბერიის უძველეს მიწაზე, წინაპართა სამაროვნებს ესათუთებიან მომავალი ქიმიკოსები.

ლ. მიტიჩაშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: ქიმიის ფაკულტეტის მესამეკურსელი დოდო ჩორგოლაშვილი სამარხს ასუფთავებს; ნასტაკისის ველის არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსი ბოხოჩაძე (მარცხნიდან მეორე), ექსპედიციის არქიტექტორები მამუკა სალუქვაძე, ლევან გუგუშვილი და სტუდენტთა შრომითი რაზმის მეთაური ლევან შარაბიძე სამარხების აგებგმვის დროს; რაზმი მუშაობს.

ვ. ვენგბიურის ფოტო.

ასპარეზობათა დღიური

საქართველოს ქალაქებში გრძელდება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობანი.

თბილისსა და სოხუმში დამთავრდა ფრენბურთელთა შეჯიბრება. თბილისში ჭაბუკი ფრენბურთელები ასპარეზობდნენ და აქ პირველობა უკრაინელებმა მოიპოვეს. მათ ფინალური მატჩი მოუგეს რუსეთის ფედერაციის ნაკრებს (3 : 0). მესამე ადგილისთვის მატჩში სამხრეთი ზონის ფრენბურთელებმა საქართველოს გუნდთან იმარჯვეს (3 : 0) და მასპინძლები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. სოხუმში მოასპარეზე გოგონათა გუნდებს შორის საქართველოს ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

თელავში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა. საქართველოს გოგონათა ნაკრებმა მეცხრე ადგილი დაიკავა, ჭაბუკთა გუნდმა კი მეშვიდე.

გრძელდება შეჯიბრებები ჭადრაკში (სამტრედია), მხატვრულ ტანვარჯიშში (ბათუმი), ხელბურთში (თბილისი) და ფეხბურთში (თბილისი). • დღეს ასპარეზობაში ჩაებმებიან კლასიკური სტილის მოჭიდაველნი (თბილისი). ფეხბურთელთა შეჯიბრების ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრები „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე იყო. ჩვენი მოჭადრაკე ჭაბუკები ჯერჯერობით მეხუთე ადგილზე არიან. მხატვრულ ტანვარჯიშში ასპარეზობა ეს-ესაა დაიწყო და ჯერჯერობით რაიმე გარკვეულს თქმა ძნელია. საქართველოს ხელბურთელმა ჭაბუკებმა რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან შეხვედრა ფრედ დაამთავრეს — 15 : 15, ჩვენმა გოგონებმა კი პირველი მატჩი წააგეს პროფკავშირების მეორე ნაკრებთან — 17 : 20.

ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა კრიფში, სამბოში, საგზატკეცილო ველოსპორტში, წყალბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, საბიდაო სპორტში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობაში, ფრენბურთში და მაგიდის ჩოგბურთში — სულ 12 სახეობის სპორტში.

ჭადრაკის დაფებთან

სირაკუზი (უნგრეთი), ტუზლაში და სმედერევოსკა-პალანკაში (იუგოსლავია) გრძელდება მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირები.

ტუზლაში, სადაც ქალები თამაშობენ, მეცხრე ტურის პარტიაში ნანა იოსელიანი დაუზავდა კადილკარს (ინდოეთი), მეათეში კი მან სვეტლანა მატვეევა დაამარცხა, ხოლო ქეთევან არახამიამ მოუგო შეხვედრები ლუ შილანს (ჩინეთი) და კადილკარს. არახამია მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს, მან უკანასკნელი ექვსი პარტია ზედიზედ მოიგო და ლიდერთა ჯგუფშია. 10 ტურის შემდეგ იოსელიანს 8,5 ქულა აქვს, აგნეშკა ბრუსტმანს (პოლონეთი) და არახამიას — 8-8 ქულა აქვთ, ლიდია სემიონოვას — 7, გულნარა სახატოვას — 6,5...

სმედერევსკა-პალანკაში ქალები ასპარეზობენ. მეთერთმეტე ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან მარიჩი (იუგოსლავია), მარტა ლიტინსკაია — 8-8 ქულა, ნონა გაფრინდაშვილი, კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) და იზრაილოვი — 7,5-7,5, მადლი (უნგრეთი) და ირინე ლევიტინა — 7-7 ქულა. მეთერთმეტე ტურში გაფრინდაშვილი დაუზავდა ლევიტინას. ოთხი ტურიც და, შეჯიბრება დამთავრდება.

სირაკუზში მოასპარეზე ვაეკებს შორის 9 ტურის შემდეგ ერთპირველნი ლიდერია საბჭოთა მოჭადრაკე ალექსანდრე ბელიავსკი — 7 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ლუბომირ ლუბოევიჩი (იუგოსლავია) — 6,5 ქულა, ვალერი სალოვი, ჯონ ნანი (დიდი ბრიტანეთი), იოანან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 6-6 და ა. შ.

სატურნირო ორბიტა

მძლეოსნობა. ლაიფციგში გამართულ სპორტულ ზეიმზე გდრ-ის სპორტსმენმა ქალმა პეტრა ფელკემ შუბის ტყორცნაში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა — 78,90 მ. აღსანიშნავია, რომ მან ფატიმა უიტბრედის (დიდი ბრიტანეთი) ადრინდელი რეკორდი 1,46 მეტრით გაუუმჯობესა.

ფეხბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურის მატჩები. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ რაოდენ კაორთულა მდგომარეობა ამ შეჯიბრებაში მონაწილე თბილისის „დინამომ“, რომელიც ალმა-ათაში დამარცხდა ადგილობრივ „ყაზახთან“ — 0:3. რაც შეეხება ლენინგრადის „ბურიას“, მან ლენინგრადში იასპარეზა და „ზენიტთან“ შეხვედრა წააგო — 0:1. ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „დნეპრი“-მოსკოვის „ტორპედო“ — 1:0, „შახტიორი“-მეტალისტი“ — 3:1, მოსკოვის „დინამო“-კიევის „დინამო“ — 0:0, „ყალგორისი“-„ნეფთჩი“ — 1:1, მინსკის „დინამო“-„არარატი“ — 3:1. დღეისათვის გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	9	8	2	31-18	26
„დნეპრი“	10	5	4	24-11	25
„უფალგირისი“	9	5	5	27-19	23
„ტორპედო“	7	9	4	19-13	23
„შახტიორი“	7	7	5	19-17	[illegible]
„არარატი“	9	1	9	21-28	[illegible]
„დინამო“ კ	7	5	4	23-11	19
„დინამო“ მნ	7	5	7	20-18	19
„მეტალისტი“	7	5	7	16-19	19
„დინამო“ მ	5	9	6	14-17	19
„ნეფთჩი“	6	6	8	24-21	18
„ყაზახი“	7	3	9	16-24	17
ცსკა	5	5	9	17-24	15
„დინამო“ თბ	5	5	9	17-25	15
„ზენიტი“	4	7	9	15-27	15
„ბურია“	3	5	10	9-20	11

საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ლენინგრადელ „ბურიას“ 3 აგვისტოს უმასპინძლებს კიევის „დინამოს“, მომდევნო ტურის შეხვედრები კი გაიმართება 11 აგვისტოს, ხოლო 2, 4 და 6 აგვისტოს მოეწყობა საკავშირო თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები.

როდემდე გასტანს მუზეუმის მშენებლობა?

ბანა დიდი მტკიცება უნდა იმას, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმი მიზიდულობის ცენტრია ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული კულტურა, და განა მარტო ქართული? ჯერაც არ განელებულა იმ მთაბეჭდილებებით გამოწვეული ემოციები, რომლებიც მოახდინა ამერიკელი ბიზნესმენისა და მეცენატის არმანდ ჰამერის ცნობილი კოლექციის ექსპოზიციამ, მარტიროს სარიანის ჯადოსნური ფუნჯით შექმნილმა ტილოებმა, ჩვენი თანამემამულის ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობდა და საქართველოს აჩუქა თავისი ნამუშევრების ნაწილი. მალე კი თბილისელები ნიკოლოზ რერიხის შემოქმედებას გაეცნობიან.

ცნობილია, რომ მუზეუმი ძველი ქართული ოქრომჭედლობის, ქართული ტიხრული მინანქრის, ნიკო ფიროსმანის სურათების უნიკალური კოლექციის საცავია. მუზეუმის ფონდში 50 ათასამდე უძვირფასესი ექსპონატია. აქ მიდინარეობს არა მარტო საექსპოზიციო, არამედ მეცნიერული და სარესტავრაციო მუშაობა... და სწორედ მუზეუმის საქმიანობის მასშტაბის გაფართოებამ წამოჭრა პრობლემა — იგი ვეღარ ეტევა ახლანდელ შენობაში, რომელიც ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს კულტურისა და მეცნიერების ესოდენ მრავალპროფილიანი კერის მოთხოვნებს. საკმარისია ითქვას, რომ მისი ფონდების მხოლოდ ოთხი პროცენტია ექსპონირებული, დანარჩენი ცუდად მოწყობილ საცავებში ინახება. ამ პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა დაისახა 1983 წელს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ახლანდელი შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი კოორუსების - მშენებლობის შესახებ.

— თბილისქალაქპროექტის ავტორთა კოლექტივმა არქიტექტორ ვახტანგ ქუთათელაძის მეთაურობით შეიმუშავა მუზეუმის ახალი კომპლექსის ორიგინალური პროექტი, — თქვა მუზეუმის დირექტორმა თამაზ სანიკიძემ. — რეკონსტრუქცია და მშენებლობა სამ ეტაპად განხორციელდება: ახლა შენდება ახალი შენობა, რომელიც უშუალოდ მიედგმება ძველ კორპუსს, შემდეგ გათავლისწინებულია ორი ახალი კორპუსის მშენებლობა, რომლებიც დაიკავებენ მთელ უბანს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე. და ბოლოს, მუზეუმს გადაეცემა ახლანდელი ლომბარდის ადგილას განლაგებული რეკონსტრუირებული შენობების კომპლექი. ასე რომ, მომავალი მუზეუმი 2 500 კვადრატულ მეტრს დაიკავებს საექსპოზიციო დარბაზებთა და ფონდების საცავებით.

თამაზ სანიკიძემ მიგვიყვანა მაკეტთან, რომელზეც მუზეუმის კომპლექსი უკვე „აღმართულია“. რეკონსტრუირებული ცენტრალური შენობისაგან გრძელდება თანამედროვე მინა-ბეტონის ნაგებობანი, რომლებსაც ერთმანეთთან დააკავშირებს გადასასვლელები.

— ჩვენი კომპლექსი, — თქვა შემდეგ თამაზ სანიკიძემ, — ერთი-ერთი საუკეთესო იქნება ქვეყანაში და საშუალებას მოგვცემს მუზეუმის მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარვმართოთ. დღეს ხომ, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უაღრესად საჭიროა ეროვნული ხელოვნების მდიდარი მემკვიდრეობა და თანამედროვე მიღწევები, საბჭოთა მრავალეროვანი და მსოფლიო კულტურის ღირებულებანი უფრო სრულად ემსახურებოდეს ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეურ და ესთეტიკურ აღზრდას. ამიტომ ძნელია გადაჭრებული შეაფასო, თუ რა მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სულიერი ცხოვრებისათვის ხელოვნების არსებითად ახალი მუზეუმის მშენებლობას. მაგრამ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტი მეტად ნელა აშენებს, წლითთწლობით ვერ ითვისებს გამოყოფილ სახსრებს. ზმირად ყოფილა დღეები, როცა სამშენებლო მოედანზე სულ რამდენიმე კაცი მუშაობდა. ახლა მშენებლები გეპირდებიან, რომ პირველ რიგს 1988 წელს ჩააბარებენ, გვინდა გვჯეროდეს ეს, მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე ითქვა: შეუწყნარებელია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების ჩაშლა.

გვაწუხებს ისიც, რომ კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაჭიანურდება ფიროსმანის სახლის მშენებლობა, რომლის შექმნის შესახებ რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ჯერ კიდევ 1982 წლის დეკემბერში. ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მუზეუმის კოლექტივმა უკვე ბევრი რამ გააკეთა: შეაგროვა ლიტერატურა მხატვრზე, შეავსო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები, აღადგინა მხატვრის თითქმის ყველა ნამუშევარი, მათ შორის ორი სურათი, რომლებიც მუზეუმს ამას წინათ გადმოსცა ჩვენი დიდი მეგობრის კონსტანტინე სიმონოვის ოჯახმა. გვაქვს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ შეგიყიდოთ კერძო კოლექციების მთელი რიგი სურათები. აი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო კი, რომლებსაც დიდი ხანია უნდა განეხილათ და გადაეწყვიტათ ლომბარდის შენობის გამოთავისუფლების საკითხი, ჯერჯერობით დუმან. როგორც ჩანს, არც არავინ არ ფიქრობს ამჟამად ლომბარდის გადატანას, რომელიც მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ აღმართულა ქალაქის ცენტრში.

...საქართველოს ხელოვნების მუზეუმი რთული პირობების მიუხედავად, ამ დღეებში საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს, მიმდინარეობს მზადება საბერძნეთში მუზეუმის საგანძურის შედევრების ჩვენებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენებისათვის, რომლებიც მიმდინარე წლის დამლევს მოეწყობა თბილისსა და მოსკოვში.

ლ. გაგუა,
საქინფორმის კორ.

მეგობართა თანადგომა

ფელს საქართველოში სტიქიურმა უბედურებამ ნათლად წარმოაჩინა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შორის სიყვარული და მეგობრობა. ამ თანადგომის კიდევ ერთი გამოხატულებაა ამ დღეებში ჭიათურაში უკრაინიდან მოსული დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქალაქ მარგანეცის უკრაინის სსრ სამოცი წლისთავის სახელობის სამთომამდიდრებელი კომბინატის ჭიათურის სახელობის შახტის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გმარჯვებისათვის მიღებული პრემია 3090 მანეთი სტიქიით დაზარალებულ ჭიათურელ კოლეგებს გადაურიცხა. (საქინფორმი).

გელით ბაზრობები

მარნეულის შესასვლელთან კარვების „ქალაქი“ დაუციათ. ეს საათვალვით 31-ე საცალო ბაზრობაა, რომელიც ცეკავშირმა მოაწყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

— ბაზრობები გზაჯვარედინებზე, გაცხოველებული მომოსელის ტრასებზეა განლაგებული, — გვითხრა ცეკავშირის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. ბარდაძემ. — მათგან უდიდესია — კასპის, გორის, ბოდბისხევის, კელასურის, კვირითის, მახინჯაურის ახლოსმდებარე ბაზრობები. ისინი უქმე დღეებში ვაჭრობენ. მაგრამ, ესოდენ ხანმოკლე „სამუშაო კვირის“ მიუხედავად, ჩვენმა მუშაკებმა ბაზრობებზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქონლბრუნვის საერთო გეგმის შესრულებას — ნახევარ წელიწადში 49 მილიონი მანეთის საქონელი გაასაღეს.

სტაციონარული სავაჭრო წერტილების გარდა, რომლებიც მყიდველს ფართო ასორტიმენტის სამრეწველო საქონელს სთავაზობენ, რაიკოოპკავშირების განკარგულებაშია 226 ავტომაღაზია